წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. ხუთშაბათი აგვისტოს 3 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

ბაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნომერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ტრის . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სია გამომცხადებლისა, ნაშუადღევს 2 საათ. 3 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძისა
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 93 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 93

# მოქალაქენო,

## მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-

## დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო

# სია

# № 4

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა

კანდიდატების სია:

1. **წერეთელი ვასილ** გიორგის ძე— ექიმი, პუბლიცისტი.
2. **ჯაფარიძე ტრიფონ** მიხეილის ძე -საეპარქიო ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი, თავმჯდომარე საისტ. და საეთნ. საზოგადოების, საგუბ. აღმასრ. კომიტეტის წევრი, საეპარქიო სასულიერო აღმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი.
3. **კვირკველია დავით** ბესარიონის ძე—ნაფიცი ვექილი, გაზ. ,,ჩვენი ქვეყნის" რედაქტორი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
4. **პურადაშვილი ივანე** ისაკის ძე —მმართველი აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილებისა, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
5. **ხმალაძე ლაზარე** ვასილის ძე-- პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. მაჭავარიანი ზაქარია კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
7. ბარათაშვილი გრიგოლ სახინოს ძე—ნაფიცი ვექილი, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
8. მახარაძე რომანოზ ქაიხოსროს ძე—კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
9. იაკობიშვილი შიმშონ შალომის ძე—კომერსანტი.
10. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე—მრეწველი, ქუთაისის ვაჭართა სამასახლისი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
11. ბარაბაძე ნესტორ სერგოს ძე—კომერსანტი.
12. ელიგულაშვილი არონ იაკობის ძე—კომერსანტი.
13. ჯაავარიძე ალექსანდრე რომანოზის ძე პედაგოგი, ქალაქის სასურსათო კომ. თავმჯდომარე.
14. დორთქიფანიძე ნიკოლოზ მერაბის ძე--ლიტერატორი
15. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე—ფილოსოფიის დოქტორი, პუბლიცისტი.
16. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე--პედაგოგი, პუბლიცისტი.
17. ჩარკვიანი აბესალომ სიმონის ძე—ექიმი.
18. ყიფიანი სამსონ გიორგის ძე—პედაგოგი, პუბლიცისტი, საეპარქიო სასულიერო აღმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19. კოკოჩაშვილი შალვა ვასილის ძე—ექიმი.
20. ყაუხჩიშვილი მარიამ იოსების ასული—ქალთა კერძო გიმნაზიის უფროსი.
21. დორთქიფანიძე სიმონ ნიკოლოზის ძე--ექიმი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
22. ბახტაძე სერგო ლუკას ძე—იურისკონსულტი სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი, საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
23. ჭავჭანიძე მიხეილ ივანეს ძე—კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24. ცინცაძე იაკობ თომას ძე—პედაგოგი, იურისტი, ბელეტრისტი.
25. ოცხელი იოსებ ივანეს ძე—ქართული გიმნაზიის დირექტორი, ქუთაისის საგუბერნ. სამოსწავლო კომისარიატის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
26. ფალავანდიშვილი ვასილ ივანეს ძე—აგრონომი.
27. რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე—მომრიგებელი მოსამართლე.
28. გარსევანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე—პედაგოგი. სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე, მწერალი.
29. ჯორჯიკია სპირიდონ ბესარიონის ძე—პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
30. ჭოლოშვილი გიორგი სიკოს ძე—ხელოსანი.
31. ყიფიანი დავით ლუარსაბის ძე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი.
32. მთავრიშვილი თომა აბრამის ძე—პედაგოგი კომერსანტი.
33. ექსანოვი ფრანცი გრიგოლის ძე—კომერსანტი.
34. ხაბურზანია ანტონ სტეფანეს ძე—უფროსი ნოტარიუსი.
35. ნიჟარაძე ალექსანდრე სიმონას ძე—პედაგოგი.
36. დოლობერიძე დავით სიმონის ძე—დაზღვევ საზოგადოების „როსსიის" ინსპექტორი.
37. ალავიძე ალექსანდრე თომას ძე—მიწის მზომელი.
38. გიორგობიანი ვლასი დავითის ძე—წვრილი კრედიტის ინსპექტორი.
39. დორთქიფანიძე მიხეილ ლევანის ძე--ექიმი.
40. მაჭავარიანი თომა სამსონის ძე—კერძო ვექილი.
41. თურეშიძე დომენტი თომას ძე—პედაგოგი, მწერალი.
42. ჩარექოვი იაკობ იოსების ძე—ექიმი.
43. არსენიშვილი იერონიმ მიხეილის ძე--სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.
44. პატარიძე პორფილე ივანეს ძე—ხელოსანი
45. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე—ჟურნალისტი.
46. მესხი ისაკ ალმასხანის ძე--ხელოსანი.
47. წერეთელი ვლადიმერ ჯიბოს ძე—მრეწველი.
48. გაბაშვილი იასონ ბესარიონის ძე—პედაგოგი.
49. მამალაძე ტარასი დავითის ძე—პედაგოგი.

## მოქალაქენო!

თავს ნუ შევირცხვენთ! პირველი დემოკრატიული არჩევნები ქალაქის საბჭოში მოვახდინოთ გონების და ნჯ აწონდაწონის შემდეგ.

ჩვენი ქალაქის ბუნების მშვენიერებას აუტანელი სიღარიბე ჩრდილავს. ქუჩაზე ხან მტვერი თვალს გვჭამს და ხან მუხლებამდი ვეფლობით ტალახში; მყრალი სუნი გვახრჩობს; ბნელეთში ფეხს ვიტეხთ; სკოლათა გარეშე ათასობით რჩება ახალგაზდობა; ჩვენი თეატრი ქოხმახია; გონებრივ საზრდოს ვერ ვაწოდებთ ხალხს. წყალი არ გვივარგა, პური უმცხვარია... თვითმეფობა მუსრს გვავლებს და რით და ვ ნ უნდა გამოასწოროს ყოველივე ეს, სად და როგორ უნდა ვიშოვოთ საჭირო სახსარი ამ უსაჭიროეს საგანთა დასაკმაყოფილებლათ?

ქალაქის უმთავრეს შემოსავალს შეადგენს ქალაქში მოთავსებული სავაჭრო გადასახადი და უძრავ მამულზე გაწერილი ბეგარა.

მაგრამ ეს ორივე წყარო შემოსავლისა საკმაოდ გამოყენებულია. თუ რამე მოემატება, ისე მცირე იქნება, რომ ქალაქის ხარჯებზე ვერ იქონიებს ღირს-შესანიშნავ მოვლენას.

. მაშასადამე თვით ქალაქი უნდა გახდეს ისეთი მრეწველი, ისეთი საქმის მომწყობი და გამძღოლი, რომ შემოსავალმა საშვალება მოგვცეს ზემო აღნიშნული მოთხოვნილებანი - კანალიზაცია, განათება, განათლება, ქუჩების გაყვანა და მოწყობა.

— დავაკმაყოფილოთ.

ასეთ მომგებიან საქმეებათ უნდა ჩაითვალოს ტრამვაის გაყვანა არა მარტო ქუთაისში, არამედ ქუთაისის მახლობელ დაბებში--ხონში, ონში და სხვა... ელექტრონის სადგურის აშენება, რომელიც მთელი ქუთაისის ელექტრონის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, ლომბარდის დაარსება და ათასი სხვა...

ყოველი საქმე, რომელიც მცხოვრებთათვის სასარგებლო იქნება და ქალაქის კარს გაამდიდრებს, უნდა ჩაიგდოს ხელში თვითმმართველობამ, რომ შემოსავლით ააყვავოს ბუნებით მშვენიერი „სამაისო სავარდო ქუთაისი" და თან ზედმეტის გადასახადებით არ დააუძლუროს მცხოვრებთა სუსტი ჯიბე.

ქალაქის საქმეების გაძღოლა თხოულობს ერთგვარ ეკონომიურ უნარს, ნიჭს ყიდვა-გაყიდვისას, ცოდნას, თუ სად როგორ და რაფრათ უფრო ხელ-საყრელია შეძენა და შელევა.

და ვინ შეასრულებს ამ მოვალეობას უკეთ, თუ არა ის, ვინც დიდიხანია უძღვება სხვადასხვა საქმეს, ვინც აშენებს და ყიდულობს, ვინც ანგარიშობს და წინადვე გეგმას ადგენს წაგებ მოგებისა და თვისი მოქმედებისას.

დაუკვირდით სიებს და ხმა მიეცით იმ სიას, რომელიც შედგება ქალაქის რთულ საქმეთა გასაძღოლათ მომზადებულ პირთაგან.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გირჩევსთ ხმა მისცეთ **№ 4.**

**შენიშვნა:** გუშინდელ წერილში „ქარ. ისრ. და რაბბი ბააზოვი'' უნდა იყოს მეორე გვერდის მესამე სვეტზე სტრიქონი 21 ,,ისრაელებს სხვა ქართველებიდან **არ** არჩევდენ.''

საერთოდ ვაცხადებ, რომ პასუხის მგებლობას ვიღებ მხოლოდ წერილების დედა-აზრის შესახებ; ხოლო გრამატიკულ, სინტაქსიურ შეცდომების, სიტყვების სრულიად გამოშვების მიზეზებს ჩვენ ნუ მოგვკითხავენ...

ამიტომ მკითხველთ ვთხოვთ, სანამ ქართული სტამბების მდგომარეობა გაუმჯობესდებოდეს, ყურადღება მიაქციოს **მხოლოდ** დედა აზრს...

Argon

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი, მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ მერაბის ძენი კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგოვაძისა, ზინა არჩილის ასული კილასონიასი და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს 1 ამ თვეს ქალაქ კიევში უდროვოთ გარდაცვალებას: პირველი უსაყვარლესი შვილისას, მეორე, ნი და მესამენი ძმისას მეოთხე მაზლისას და მეხუთე ცოლისძმის სამხედრო ექიმის

## ანდრო მერაბის ძე კილასონიას,

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დასაფლავება დანიშნულია შაბათს 5 აგვისტოს საღამოს 5 საათზე, გენერლის ქუჩის შესახვევი საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე.

---

**მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან, ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქუჩაზე, ძმ. ჩილინგაროვების საკანდიტეროს გვერდით პიპინაძის სახლში გაიხსნა**

## ქურნალ-გაზეთების კანტორა
## „ლამპარი“

(განყოფილებაა სუვორინის მთავარ სააგენტოს), რომელსაც მოსდის ყველა, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის სატახტო გამოცემები, დროს შესაფერი ბროშურები და წიგნები.

**გამგე მ. ტყაბლაძე.**

---

## დ ა ვ კ ა რ გ ე

ქუთაისის სამაზრო სამხედრო საკრებულოდან მოცემული თეთრი ბილეთი ვლადიმერ თეიმურაზის ძე ფურცხვანიძეს სახელზე მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ რედაქციაში შემოიტანოს.

---

## არ დავიგვიანოთ.

საერთა-შორისო უფლების მხრით არც ერთი ქვეყანა, რომელიც რუსეთისაგან გათავისუფლდა ან გათავისუფლების სწორს გზაზე დგას, მაგ. როგორც პოლონეთი, ფინლანდია, უკრაინა, ბალტიის ზღვის მხარე და სხ. არ არის ისეთ განსხვავებულ პოლიტიკურ პირობებში, როგორც საქართველო.

ყველა ამ ქვეყნებში დიდი მზადება და შეთანხმებული მუშაობაა პარტიებისი, რათა სამშობლოს მოახმარონ მთელი მათი ძალ-ღონე.

არ ისმის იქ ისეთ განყენებულ და შორეულ საგნებზე გაცხარებული ბრძოლა, რომელიც დღევანდელი მომენტისთვის არაფერს შუაშია.

თვით ევროპა, რომლის განათლება და კულტურა ხუთასი, ექვსასი წლით მაინც წინა სდგას რუსეთისაზე, ვერ შეხებია აქამომდე იმას, რომ ცხოვრებაში განახორციელოს ის სოციალური იდეალები, რომელნიც რუსეთის თამამ რეფორმატორებმა დღესვე, ომის დროს გადასაწყვეტ საგნად გახადეს!

ეს ახლად მოკლენილი მოციქულნი ლამობენ, რათა მთელი კაცობრიობის სათავეში ჩადგნენ და უკარნახონ ევროპას პეტრეს ქალაქიდან, თუ როგორ მოაწყოს მან საკუთარი ცხოვრება! ერები კი, განმზადებულნი თავისუფლების დასამყარებლად, ერთგულად შესდგომიან ეროვნული შენობის აგებას, ხალხისათვის თავისუფლების მოპოვებას!

იქ ვერ შეხვდებით ჩვენი ძველი ქართველი ღენერლების ტიპებს, რომელნიც რუსეთისათვის თავგანწირულნი იყვნენ, გადაამტერეს საქართველოს მთელი კავკასიის ერები, წინაუძღოდნენ რუსეთის მხედრობას, რათა ამ ერებისათვის მოესპო რუსეთს თავისუფალი ცხოვრება, დაემონებია ისინი, აეყარა თავის სამკვიდრებილებისაგან და გაევერანებია მათი სამშობლო.

თვით ებრაელთა 70 წლის ტყვეობა ბაბილონელთაგან, ვერ შეედრება სისასტიკითა და ბარბაროსობით რუსეთის მთავარ მართებლის საქციელს რომლის ბრძანებით წარსულ საუკუნის მესამოცე წელში მთელი ჩერქეზის ერი—ეს დიდის კულტურის მქონე, თავგანწირულად სამშობლოსთვის მებრძოლი რაინდი ხალხი ოსმალეთში გააძევა და მათი ნაოხარი მიწა-წყალი რუსებს დაურიგა ჯილდოდ!

მართალია საზღვარ-გარეთელი პრესა აღელვა რუსეთის მთავრობის ასეთმა ულმობელმა მოქმედებამ, მაგრამ, რადგანაც ამითი ფაცხა არავის ეწვებოდა, იმიტომ ევროპის ბრძანებლებმა ყური მოიყრუეს და ნახევარი მილიონი კეთილშობილი ჩერქეზი რუსეთს გაანადგურებინეს!

ერთის მხრით, დღევანდელი რუსეთის რევოლუციის სათავეში მყოფნი ქართველებიც წააგავან ამ ძველ ქართველ ღენერლებსო; ესენიც მათსავით მთელის არსებით რუსეთისთვის თავდადებულნი არიან და თავის საკუთარ სამშობლოს შესახებ, რომ დიდათ თავს იტკენდნენ რაღაც არ ისმის.

მაგიერად ეს გამოჩენილნი ქართველნი რუსის პატრიოტებად და რუსეთის მხსნელად არიან ცნობილნი!

ერთხელ გრიგოლ ორბელიანს, რომელიც ტფილისიდგან იყო გასული, მაშინდელი მთავარმართებელი დიდი მთავარიმიხეილი სადგურზე დახვდა მცხოვან ღენერალ-ადიუტანტს, ჩაისვა ეტლში და ბინაზე მიიყვანა. გრიგოლიც დიდად ნასიამოვნები და ბედნიერი შეიქნა ასეთის პატივისცემით. „ბ. გრიგოლ“—მოახსენეს პოეტს—„დიდი მთავარი რომ ასე პატივსა გცემსთ, სადგურზე დაგხვდება და შინ წამოგიყვანს, რატომ საქართველოსთვის არაფერსა სთხოვ, თქვენ ხომ ის არაფერზე უარს არ გეტყვისო, ისე უყვარხართ?!“

გრიგოლმაც ღიმილით ასე უპასუხა მრჩეველს: „მაშინ ხომ არც სადგურზე დამხვდება და არც შინ წამიყვანსო! Sapienti sat“

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი პარტიების საქმეს. დღეს საქართველოში ისეთი ურთიერთობა სუფევს პარტიათა შორის, ლამის სიძულვილით ერთმანეთი დაახრჩონ! გარეშე მაყურებელს ეგონება, რომ ეს ხალხი გაგიჟებულა.

ქართველი ერი ამ ჟამად დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, დიდი და იშვიათი ისტორიული წამია წარმომდგარი, როდესაც საქართველომ ან უნდა მოიპოვოს თავისუფალი ეროვნული ცხოვრება, ან უნდა გაჰქრეს სამუდამოდ, როგორც ეროვნება.

იმის ნაცვლად, რომ ამ დროს ყველა ქართველი ერთ დროშის ქვეშ შეიკრიბოს, დაივიწყოს დროებით შინაური აზრთა უთანხმოება და განსხვავება, ისინი თეორიებისა და უშორესი იდეალების განხორციელებას ანდომებენ თავის ნიჭსა და ღონეს!

შესაძლოა შეგვეკითხონ: კი მაგრამ, რა აწერია ამ თქვენს დროშაზე, რომლისთვის უნდა შევაჩეროთ ჩვენი იდეალების ცხოვრებაში გატარება?

— ჩვენს დროშაზე აწერია **საქართველოს თავისუფლება.**

ეს არის უაღრესი და უპირველესი მიზანი საქართველოს ერისა. ხოლო თავისუფალმა საქართველომ, დაე ისე მოაწყოს თავისი შინაგანი ცხოვრება როგორც ენებოს.

პოლიტიკურად დამონებული ქვეყანა არ დგაგონილა ერთსა და იმავე დროს ომობს და თან შინაურ ანგარიშებსაც ასწორებდეს ოჯახში.

საცაა ომი გათავდება და საჭიროა შინაური თანხმობა, თორემ ჩვენ ქართველებს არავინ მოგვიცდის.

„ერთობა ძლიერებაა“ და უბედურია ის ერი, რომელიც ამ ერთობის შექმნას დააგვიანებს.

**მეველე.**

---

**მიეცით ხმა ქართველ ერის ინტერესების დამცველს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას № 4!**

---

## † გიორგი ზდანოვიჩის ხსოვნას.

გიორგი ზდანოვიჩი იყო იდეური მიმდევარი გერცენისა და ჩერნიშევსკისა და თანამედროვე და თანამებრძოლი რუსეთის ხალხოსნური ჯგუფისა სამოცდამეათე წლებში.

თავის რწმენას მან თავისი სიყმაწვილე სხვერპლად შესწირა და თავისი სიცოცხლის საუკეთესო დრო თავისი სამშობლოს გარეთ, ცივ ციმბირში, გაატარებინა.

რაც შეეხება მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, ის რუსის ლიტერატორი უფრო იყო, ვიდრე ქართველი: არა თუ ციმბირში ყოფნის დროს, არამედ მაშინაც კი, როცა სამშობლოში ცხოვრობდა, უმეტეს ნაწილად რუსულად სწერდა და საერთო, საზოგადო საკითხებს ეხებოდა, თუმცა, რასაკვირველია, არც ადგილობრივი საქმეები ავიწყდებოდა.

აღსანიშნავია მის მიერ ციმბირიდან გამოგზავნილი მოწოდება ქართველი ინტელიგენციისადმი. ხსენებულ მოწოდებაში (დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“) ის ურჩევდა ქართველ ინტელიგენციას, უმთავრესად ეკონომიური საკითხებისათვის მიექცია ყურადღება. და ამ მოწოდებაში მისი რუსული ხალხოსნური მიმართულება აშკარად ჩანდა.

ღირსშესანიშნავია მისი წერილები გაზ. „ივერიაში“ ქართველი ქალის შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე წერილები ელევატორის მნიშვნელობის შესახებ.

როგორც კრიტიკოსი, ის იყო თაყვანისმცემელი ილია ჭავჭავაძის პოეზიისა.

საზოგადოდ, როგორც მწერალი, ის საშუალო ნიჭის მწერლებს ეკუთვნოდა, მაგრამ, თუ ლიტერატურაში ღრმა კვალი არ დასტოვა, ამის მიზეზი, ჯერ ერთი, ის იყო, რომ, როცა მასში ახალგაზრდური ენერგია ჩქეფდა, ის მოწყვეტილი იყო სამშობლოსა და, მეორე, როცა საქართველოში დაბრუნდა, „შავიქვის მწარმოებელთა ყრილობის წარმომადგენლად აირჩიეს და ამ საქმემ სრულიად აღარ დაუტოვა დრო ლიტერატურული მუშაობისათვის.

აღსანიშნავია მისი ღვაწლი აგრეთვე სოციალისტ-ფედერალისტურის პარტიული მუშაობისთვის. ამ პარტიის პროგრამის შედგენასა და, საზოგადოდ, პარტიულ საქმიანობაში მას მხურვალე მონაწილეობა მიუღია.

სხვათა შორის ის იმ აზრს იზიარებდა, რომ ქართველი სოციალისტფედერალისტები, რაც შეიძლება, მეტად დაახლოვებოდენ რუსის სოციალისტ-რევოლუციონერებს.

ერთი სიტყვით, ის რუსულ ლიტერატურაზე და რუსულ რევოლუციურ სკოლაში აღზრდილი იყო და ცდილობდა, რუსული ლიტერატურული, ეკონომიური და პოლიტიკური მიმართულება ქართულ ნიადაგზე გადმოენერგა.

და მისი სიკვდილით ამ მიმართულებას დიდი ძალა მოაკლდა.

ამგვარად მან, როგორც რუსულს, აგრეთვე ქართულ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დასტოვა და არც დიდი რუსეთი და მეტადრე არც პატარა საქართველო მის ღვაწლს არ დაივიწყებენ.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

**ვასილ წერეთელი.**

---

## დღევანდელი თათბირისთვის.

დღეს საღამოს საათის შვიდზე კლასიკურ და რეალურ სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლეთა მშობლები იწვევენ შეერთებული თათბირს სკოლის გაქართულების (ნაციონალიზაციის) კითხვის განსახილველად.

სკოლის გაქართულების კითხვა დღიურ წესრიგში სდგას. მისი გადადება ყოვლად შეუძლებელია. ქართველი ერის თვით აღორძინება ახალ, საკუთარ შინაარსიან ცხოვრების დაწყება გარეშე ეროვნული სკოლისა წარმოუდგენელია.

ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ მშობელთა და მასწავლებელთა თათბირი. მშობელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს გაეცნოს ხსენებულ დიდ მნიშვნელობის კითხვას და მის შესახებ შესაფერი გადაწყვეტილება გამოიტანოს. სასურველია მშობელთა წრის გვერდს სხვა საზოგადო მოღვაწენი და დაინტერესებულნი პირნი დაესწრონ.

მომავალი სამოსწავლო წლისთვის სწავლება მიუცილებლათ ეროვნული საფუძვლებზე უნდა მოეწყოს. ამისათვის საჭირო სასწრაფოთ პირობების და ნიადაგის შემზადება' დრო ცოტაღა დარჩა.

ორი თვის შემდეგ ჩვენ მომხდარ ფაქტთან ე. ი. გაქართულებულ სკოლასთან უნდა გვქონდეს საქმე. ყველანი მოვალენი ვართ ენერგიულათ ვიმუშაოთ ამ მიზნის მისაღწევათ.

იმედია დღევანდელი თათბირი ნაყოფიერი იქნება და იგი პირველი ჩაუყრის საძირკველს დიდ ეროვნულ საქმეს.

**სერ.**

---

## რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ი**

**კერენსკის განცხადება**

**პეტროგრადი.** სრულიად რუს. გლეხთა აღმ. კომიტეტში კერენსკის უთქვამს. დროებითი მთავრობა იმისდა მიუხედავად რომ მასში მსხვილბურჟუაზიისწარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას, თვის დანიშნულებას პირნათლად აასრულებსო. დასასრულ კერენსკიმ განაცხადა, რომ დამფუძნებელი კრება, რომლისაკენაც მთავრობა პირდაპირის გზით მიისწრაფვის, მიწის საკითხს გლეხების სასურველად გადასწყვეტსო. კერენსკიმ სთქვა აგრეთვე, რომ მას მხოლოდ ერის კეთილდღეობა აქვს მიზნად და იგი ექნება სამუდამოდაც.

**ყაზახთა კონფერენცია.**

**ნოვოჩერკასკი** რუსეთის დღევანდელ მძიმე მდგომარეობის შესახებ, ყაზახობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუციები: 1) დადგა დრო განვაცხადოთ, რომ რუსეთის მოქალაქეებმა უნდა იხსნან სამშობლო დაღუპვისაგან, რადგანაც სამშობლოს დაღუპვას მოჰყვება რევოლიუციის დაღუპვაცა 2) რუსეთის ხსნა შეუძლიან მხოლოდ ძლიერ ეროვნულ მთავრობას, აღჭურვილს განუსაზღვრელი უფლებებით. 3) იმედი და სიამაყე რუსეთისა, ჯარი, იღუპება, გახრწნილი და მოტყუებული გამცემლებისა და მოღალატეებისაგან. საბჭო თხოულობს რომ აღდგენილ იქმნას სასტიკი დისციპლინა ფრონტზე და ზურგში, პირშეუბრუნებლად სრულდებოდეს საბრძოლო ბრძანებანი. არც ერთი სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ ერეოდეს სარდალთა მოქმედებაში. 4) ყაზახები წინააღმდეგნი არიან, რომ გაყვანილ იქმნას რაიმე ძირითადი რეფორმები მიწისა თუ სხვათა შესახებ დამფუძნებელ კრებისგან გადაწყვეტილებამდე. 5) მიეცეს არჩევნების უფლება დამფუძნებელ კრებაში ფრონტზე და ზურგში მყოფ ყაზახებს ერთად თავ-თავიანთ ოლქებთან. გადაიდვას არჩევნები, რადგანაც 17 სექტემბრისათვის შეუძლებელია მათი მოწყობა. დამფუძნებელი კრება გაიმართოს მოსკოვს

**დეზერტირების გამოცხადება.**

**მოსკოვი** მოსკოვში თავის ნებით გამოცხადნენ 3262 დეზერტირი, რომელნიც ფრონტზე გაიგზავნენ. ამათ გარდა თავიანთ ნაწილებში დაბრუნდნენ 1900 დეზერტირი.

---

## უ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**დიდი მიწის-ძვრა**

**ლონდონი.** ველინგტონიდან (ახალი ზელანდია) იტყობინებიან, რომ ჩრდილოკუნძულის სამხრეთ ნაწილში მოხდა მიწის-ძვრა. რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა მცხოვრებლებს, მეტადრე ვაირარანის ოლქში.

**ადლერის ავადმყოფობა.**

სტოკჰოლმში ვენიდან ატყობინებენ, რომ ადლერი ავად გახდა ფილტვების ანთებით.

**არგენტინა და გერმანეთი**

**ნიუიორკი.** არგენტინის მთავრობამ რომ ვერაფერი დაკმაყოფილება მიიღო. გერმანიის ელჩთან მოლაპარაკებით კავშირი შესწყვიტა მასთან, და ნოტა გაგზავნა ბერლინს, რომ ერთი კვირის განმავლობაში მოგვეცით გარკვეული და გადაწყვეტილი პასუხიო.

**ამერიკის ჯარის რუსეთში გაგზავნის წინააღმდეგნი.**

**ნიუ-იორკი.** „ასოსიატედ-პრესს“-ი იუწყება, რომ რუსეთის მისიის წევრები ამერიკელთა ჯარის რუსეთში გაგზავნაზე წინააღმდეგნი არიანო.

**დელეგატების გაგზავნა სტოკჰოლმის კონფერენციაზე.**

**ლონდონი.** ბრიტანეთის კონფერენციაზე დელეგატების გასაგზავნად რეზოლიუცია 1.840.000 ხმით (მოწინააღმდეგე 555,000) იქმნა მიღებული. საღამოს ვესტმინსტერგოლდში ეროვნული დემონსტრაცია გაიმართა. დემონსტრაცია პროტესტს აცხადებდა ბრიტანელ დელეგატების სტოკჰოლმში გერმანელ დელეგატებთან შეხვედრაზე. დემონსტრაციას მრავალნი თანა უგრძნობენ. ტრედუნიონების ფედერაციის სეკრეტარ ალპტანმა გერმანელთა ბრიტანელ დელეგატების შეხვედრაზე ვიდრე მტერს მოკავშირეთა ტერიტორია-უქირავს) საპროტესტო რეზოლიუცია 760 წინააღმდეგ მიიღეს.

**რუმინეთის სასახლეს და მმართველობას რუსეთში გადმოყვანას უპირებენ.**

**პეტროგრადი.** ივლისის 20. ფრონტზე მდგომარეობის გამწვავების გამო რუმინეთის სახლის და მმართველობის რუსეთში გადაყვანა საჭიროდ მიაჩნიათ. პეტროგრადის ოფიციალი წრეები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ უკანასკნელ დღეებში გავრცელებულ ხმებს, ვითომც რუსები მტრულად უყურებდნენ რუმინელებს. ჰგონიათ, რომ ამ ხმებს მტრები ავრცელებენ.

**ამერიკის ჯარი.**

**ნიუ-იორკი.** მარიამობისთვის 19-სათვის ყველა შტატებში ნაციონალურ ჯარისთვის კონტინგენტის მესამედი იქნება მოკრებილი.

---

## ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**გამოძიება.**

**კიევი.** სამხედრო და სამოქალაქო მთავრობა ენერგიულად განაგრძობს გამოძიებას შესახებ იმ შეჯახებისა, რომელიც მოხდა უკრაინელთა და კირასირებს შორის, გამოძიება გასტანს 2—3 დღეს. ბოლდანის პოლკიდან მოკლულია 16 ჯარისკაცი, 30 დაჭრილი. კირასირებიდან დაჭრილია 2. საზოგადო რიცხვი დაზარალებულთა ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი.

**ყალმიკები და ყაზახები.**

**ნოვოჩერკასკი.** ივლისის 29. ყაზახთა კონფერენციამ იქონია მსჯელობა შესახებ ყალმიკების იმ დადგენილებისა, ისინი მიღებულ იქნენ ყაზახთა ჯარებში. კონფერენციამ სასურველად სცნო ასტრახანისა და სტავროპოლის ყალმიკების მიღება ყაზახთა ჯარებში და მიანდო მათ თვით შეიმუშაონ ფორმა და დრო ამ შეერთებისა.

**მთიელებმა უნდობლობა გამოუცხადეს ოლქის კომისარს.**

**დერბენდი.** გაერთიანებულ მთიელთა ცენტრალმა კომიტეტმა უნდობლობა გამოუცხადა საოლქო კომისარს, რომელმაც დროებით თანამდებობას თავი დაანება.

**რუსი პროფესორები უკრაინელთა წინააღმდეგ.**

**კიევი.** წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის პროფესორებმა პროტესტი გაუგზავნეს დროებით მთავრობას რუსული კულ

ტურის უკრაინიზაციის გამო, რაც რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესების წინააღმდეგია.

**უკრაინიზაცია რუმინეთის ფრონტზე.**

**ოდესა.** ოდესის სამხედრო ოლქის შტაბმა რუმინეთის ფრონტზე უკრაინიზაციის შესახებ მინისტრის განკარგულება მიიღო.

**სიკვდილის ბატალიონი.**

**ზანაკი.** ივლისის 29. სმორგონის სამხრეთით, 28 ქვეითა დივიზიის სიკვდილის ბატალიონმა, 8 და 9 ივლისის ბრძოლაში მოიხვეჭა დაუჭკნობელი დიდება. განწირული იერიშით ამ ბატალიონმა აიღო ნემეცთა ორი რიგი სანგრებისა, მაგრამ როცა ნახა რომ დახმარება არსაიდან არის და მტრის ცეცხლი და მოზღვავებული ძალა კი უწყალოდ სცელავდა თავ განწირულებს, მიატოვა სანგრები. ბატალიონმა დაჰკარგა 30 აფიცერი, მოკლული და დაჭრილი ე. ი. 51 პროცენტი მთელი თვისი შემადგენლობისა; 731 ჯარისკაციდან გადარჩა მხოლოდ 357. როცა დივიზიის ერთმა პოლკმა უარი სთქვა შეტევაზე, 44 აფიცერმა და 200 ჯარის-კაცმა იმ პოლკიდამ, პოდპ. იანჩის სარდლობით, დაიკავა პოზიცია და თვისი სიკვდილით და სისხლით აღიბეჭდა სიყვარული სამშობლოსადმი. აფიცრები ვინტოვკებით ხელში წინ უძღოდნენ ჯარის-კაცებს და მხოლოდ მტრის სიმრავლემ გასტეხა გმირთა თავ-გამოდება.

**უკრაინელ და რუს ჯარის კაცთა შეტაკება.**

**კიევი.** (დაგვიანებულია). ფრონტზე მატარებლით გაგზავნილ იქმნა 1-ლი და 2 ეშელონები უკრაინელ ბოგდან ხმელნიცკის პოლკისა. სადგურ „კიევის“ ახლოს უკრაინელებმა უმიზეზოდ აუტეხეს სროლა კირასირამებს, რომელნიც რკინის გზას სდარაჯობდენ. სროლას კირასირამებმაც სროლითვე უპასუხეს. ვოლინსკის სადგურთან აჯანყებულები შეხვდენ კირასირების პოლკს, რომელიც გაფრთხილებულ იქმნა წინდაწინვე კიევიდან. უკანასკნელები გარს შემოერტყნენ ბოგდანელების მატარებელს და დამორჩილება უბრძანეს. ბოგდანელებმა დამორჩილებაზე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ კირასირებმა ტყვიისმფრქვეველები მოიხმარეს და აჯანყებულნი იძულებულყვეს დანებებოდენ. რამოდენიმე მათგანმა გაქცევით თავს უშველა. დღეს კიევში მოიტანეს მატარებლით 14 მკვდარი. ფიქრობენ, რომ ორთავე მხრით დაჭრილი და დახოცილი უდრის 50.

**უკრაინის ცენტრალი რადის მოწოდება.**

**კიევი** უკრაინის ცენტრალი რადის კომიტეტმა კიევის მცხოვრებლებს და მთელ უკრაინას მოწოდებით მიმართა. აუწყებს ამ სამწუხარო მოვლენას, რომელმაც გამოიწვია სისხლის ღვრა ორი მოძმე ხალხის ჯარის კაცებისა, აცნობებს, რომ კონტრ-რევოლუციონური ძალები სარგებლობენ მძიმე მდგომარეობით და აშკარად თესვენ ეროვნულ შუღლს. კომიტეტი აცხადებს, რომ, თანახმად ცენტრალ რადის დადგენილებისა, დაარსებულია გამომძიებელი კომისია, რომელშიაც შევლენ არა უკრაინელ რევოლუციონური ორგანიზაციები და დავალებული აქვს საქმის გამორკვევი. კომიტეტი მცხოვრებლებს მოუწოდებს მშვიდობიანობის დაცვას იმ იმედით, რომ დამნაშავენი დასჯილნი იქნებიან, ხოლო უდანაშაულო დაღუპულთა ცოლშვილი მატერიალურათ უზრუნველყოფილნი იქნებიან.

**გამოძიებითი კომისიის მოქმედება.**

**კიევი** მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ სწარმოებს პარალელური გამოძიებანი ცენტრალ რადის, მუშათა და ჯარის კაცთა და რევოლუციონური ორგანიზაციების მიერ. მრავალი წყაროებიდან დამტკიცებულ იქნა, რომ სისხლის ღვრაში ბრალი უდევს ეროვნულ შუღლს. გამოძიება ჯერაც არ დამთავრებულა.

**ფინლიანდიის დემოკრატიული ორგანოების პასუხი**

**ჰელსინგფორსი.** შეერთებულმა ყრილობამ ჰელსინგფორსის ფლოტის და მუშათა დემოკრატიულ ორგანოებისამ, მოისმინა რა დეპეშა დეპუტატთა საბჭოების ცენტრალი კომიტეტისა, დაადგინა, რომ მინისტრი სოციალისტები არიან პასუხის. მგებელი ორგანოები თავიანთ მოქმედების შესახებ. ყრილობა მოითხოვს სასტიკ ბრძოლას კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლებთან და დარწმუნებულია, რომ დროებითი მთავრობა ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას და სამშობლოს იხსნის დაღუპვისაგან.

**საავტონომიო კრება**

**კიევი.** საერთო კრება რუსეთის იმ ერთა წარმომადგენლებისა, რომლებიც ესწრაფიან მოაწყონ რუსეთი ავტონომიურ-ფედერატიულად, საბოლოოდ გადაწყვეტილია კიევში 15 აგვისტოსათვის. კრებას იწვევს უკრაინის ცენტრალი რადა კრებაზე მოწვეულია თანასწორი რიცხვი ერთა წარმომადგენლებისა. მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა, მცხოვრებთა რაოდენობისა და მათ ეროვნულ-კულტურულ განვითარებისა. ოლქებმა და პარტიებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კრებაზედ, უნდა მიმართონ პირდაპირ უკრაინის ცენტრალ რადას.

**ლატვიის ავტონომია**

**რიგა.** ლატვიის ავტონომიის შესახებ მუშათა წარმომადგენელთა რიგის საბჭომ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: 1) შედგენა ერთიანი განუყოფელი ლატვიისა (ლატველთა ნაწილი ლიფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიებისა), როგორც პოლიტიკურ ავტონომიურ ოლქისა; 2) მთელი ადგილობრივი სამეურნეო პოლიტიკური და საადმინისტრაციო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ლატვიის სეიმს, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დაფარული პროპორციული, განურჩევლად სქესისა, ხმის მიცემით; 3) ტერიტორიული საზღვრები ლატვიისა რუსეთის მოსაზღვრე ოლქებთან განისაზღვრება თვით ოლქების მცხოვრებთაგან.

**გაზეთებიდან.**

**ფინეთის ვითარება.**

ჰელსინგფორსში სტამბების გაფიცვის გამო, რომელიც თვეზე მეტს გრძელდებოდა, ადგილობრივი პრესის აზრი ფინეთში დატრიალებული ამბების შესახებ გამოურკვეველი დარჩა. ქალაქების მეტ ნაწილში ყველა გაზეთების გამოცემა შეჩერებულია. მთელი ფინეთი გაფიცვამ მოიცვა. ჰელსინგფორსში ერთად ერთი მუშათა გაზეთი გამოდის „ტიომიეს“-ი, რომელსაც თვისი აზრი, ფინეთის სეიმის დათხოვნის გამო, ჯერ არ გამოუთქვამს, მაგრამ ის წერილები რომელიც ამ გაზეთში იბეჭდებოდა, საკმარისად ნათელჰყოფს ფინეთის სოციალისტურ კრების შეხედულებას. წერილებში უდიერად არის მოხსენებული დროებითი მთავრობა და ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელნი: გენ.-გუბერნატორი სტახოვისი და მისი თანაშემწე ბარონიკორფი. ამ გაზეთმა, როდესაც დაბეჭდა დროებითი მთავრობის განკარგულება ფინეთის სეიმის დათხოვნის შესახებ, ასეთი სათაური გაუკეთა ცნობას: „თავდასხმა ფინეთის თვით გამორკვევის უფლებაზე“.

**მუსულმანების ეროვნულ-დემოკრატიული ავტონომია.**

22 ივლისს ყაზანში შესდგა საზეიმო გაერთიანებული სხდომა მუსულმანთა საზოგადოების სამი თავმჯდომარისა: სრულიად რუსეთის მეორე მუსულმანთა ყრილობისა, მუსულმან მხედრების და სრულიად რუსეთის მუსულმანთა სამღვდელოებისა. საზეიმოდ მოწყობილ პირობებში გაერთიანებულმა სხდომამ გამოაცხადა ეროვნულ-კულტურული ავტონომია ცენტრალ რუსეთისა და ციმბირის მუსულმანებისა და დაადგინა, დაუყონებლივ, დამფუძნებელ კრების დაუცდელად ყველა საქმეები, რომელნიც კი მუსულმანთა სასულიერო და საკულტურო მოთხოვნილებებს შეეხება, ეროვნულ დაწესებულებათა ხელში გადვიდეს.

შეერთებულმა სხდომამ მიიღო მხედველობაში ის საფრთხე, რომელიც თავისუფალ რუსეთის კონტრ-რევოლუციონერებისაგან უმზადდება და დაადგინა, მოუწოდოს მრავალ მილიონიან მუსულმანობა, რათა ისინი მჭიდროდ შეუკავშირდნენ რუსეთის რევოლიუციურ დემოკრატიას და მის მიერ წარმოშობილ ორგანოებს მუსულმანები დარაჯად უნდა უდგნენ თავისუფლებასა და წესიერებას.

ამავე დროს სხდომამ თავის მოვალეობად ჩასთვალა პროტესტი გამოაცხადოს იმის წინააღმდეგ, რომ მკვდარ დაწესებულებათა აღდგენა მოინდომეს; სახელმწიფო სათათბირო და სახელმწ. საბჭო, რომელნიც აშდროული ცხოვრების სინამდვილეში, უეჭველია შეიქმნენ კონტრ-რევოლუციონერთა ფუძედ.

# მსოფლიო ომი.

**შ. დ. ს.**

**დ ე პ ე შ ე ბ**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** ივლისის 30. ებარჯისა და ვოლოჩისკის მიდამოებში გერმანელთა არტილერიის მოქმედება გაცხოველდა. ჩვენი მხვერავები მდ. ბრუჩზე გადავიდნენ ავსტრიის ქალ. გუსიატინში შეიჭრნენ ხელის ყუმბარების საშუალებით ბრძოლის შემდეგ 21 ტყვე გერმ. წამოიყვანეს და ხელთ იგდეს 2 ტყვის მფრქვეველი. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** ივლისის 30. მდ. დროზას სათავეში ბრძოლა გრძელდება. ოკნასროეჩის დასავლ. გუშინ მთელი დღე მედგარი ბრძოლა სწარმოებს. ოკნას მიმართულებით ავსტრთა-გერმანელებს მედგარი იერიშები მოჰქონდათ; საღამოთი რუმინელებს ოკნა-პოეპილი-მოშორელ-ჩიგროზესჩის ხაზზე დაახევინა. ვჰოკშანის მიმართულებით, ვჰოკშანცი-მერეშონის რკინიგზის გასწრივ მედგარი იერიში მოჰქონდათ გერმანელებს. მიუხედავათ იმისა, რომ მტერი გაცილებით უფრო მეტი ძალებით მოქმედებდა, რუსისა და რუმინეთის ჯარები პოზიციებს არ სტოვებდნენ და კონტრიერიშებიც მიჰქონდათ, რომლის დროსაც ტყვეთ წამოიყვანეს 1200 კაცი.

რუმინელებმა ელენი-მერეშესჩი ვჰურჩენის ხაზზე დაიხიეს. მდ. ბუეს მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მოულოდნელად მტერს შეუტია, რამდენიმე პოზიცია დაიბრუნა, ტყვეები წამოიყვანა, ხელთ იგდო 4 ზარბაზანი და ტყვის მფრქვეველი.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** ივლისის 30 მდგომარეობა უცვლელია.

**მფრინავთა მოქმედება.**

**პეტროგრადი.** ივლისის 30 ბარანოვიჩის მიმართულებით ერნეს მიდამოებში და სადგ. მალოდეჩნოში მტრის საჰაერო რაზმებმა ყუმბარები ჩამოყარეს.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** ივლისის 31. არმანტიერის სამხრეთით გერმანელთა მოულოდნელი თავდასხმა პორტუგალიის ჯარმა მოიგერია. მთელი დღე ქარიშხალი მზვინვარებდა. მიუხედავად ამისა ფრანგებმა გერმანელთა 3 ჩამოაგდეს, 4—აიძულეს დაბლა დაზიანებული დაშვებულიყო. ფრანგების 2 საფრენი გერმანელთა ფარგლებში დაეშვნენ, 3—უგზო უკვლოდ დაიკარგა.

**გერმანელებმა შვედელთა გემი დალუპეს.**

**სტოკჰოლმი.** ინგლისისკენ მიმავალი ხე-ტყით დატვირთული შვედელთა გემი „ოტალია“ ჩრდილო ზღვაში წყალქვეშას დაეტაკა და ჩაიძირა.

**დელეგაციის მოქმედება.**

**მომქმედი ლაშქარი.** შავი ზღვის დელეგაცია დამკვრელ ბატალიონების შესადგენად აგიტაციის გასაწევად რუსეთში დიდ მოგზაურობისათვის ემზადება.

**გერმანელების ახალი მახრჩობელა გაზები.**

**პარიზი.** ივნისის 28. არმანტერიდან იტყობინებიან, რომ გერმანელები ახალ სახრჩობელა გაზის ყუმბარებს ხმარობენ თურმე. ეს გაზი ტანისამოსს ატანს და ტყავს სწვავს. ამ ბოლო დროს გერმანელები ჰხმარობენ აგრეთვე პატარა ყუმბარებს, რომელთა მახრჩობელა გაზი თურმე დახურულ სადგურებშიც კი ჩადის. ეს გაზი მალე იკრიბება თურმე თმაში ულვაშებში და წვერებში. ამ გაზით უკვე მრავალი დამხრჩვალა.

---

**მიეცით ხმა ქართველი ერის ინტერესების დამცველს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას № 4.**

---

# ახალი ამბავი.

**✦ არჩევნების გარშემო.** აგვისტოს 1 ს ქალაქის თვითმართველობის შენობის დარბაზში მოხდა თათბირი ჰალაქის აღმ. კომიტეტის საარჩევნო კომისიისა. განსახილველი იყო საუბნო საარჩევნო კომისიებში თავმჯდომარეთა არჩევის კითხვა. სულ ასარჩევი იყო 12 თავმჯდომარე. ცალკე საარჩევნო კომისიებში თავჯდომარის მოწვევა დაევალათ სარაიონო საარჩევნო კომისიებს.

**✦ საქართველოს ეკლესიის ამბები.** 12 აგვისტოს **თბილისში** მოხდება საეკლესიო კრების წინასწარი თათბირი, რომელსაც დაესწრება მთელი შემადგენლობა საქართველოს ეკლესიის დროებითი სამმართველოსი, იმერეთიეა და გურია სამეგრელოს საეპარქიო კომიტეტებისა და აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენლები...

27 აგვისტოს მოხდება სრულიად საქართველოს კათალიკოზის არჩევა მთელს საქართველოში და საეკლესიო კრებაზე დასასწრები დელეგატებისა, სრულის დემოკრატიულის წესით. 8 სექტემბერს მოხდება საეკლესიო კრება, რომელზედაც საბოლოოდ გადაწყდება განახლებული ქართული ეკლესიის ორგანიზაცია.

**✦ სვანეთის ამბები.** გუბერნიის კომისარს დეპეშით ატყობინებენ, რომ სვანებმა ხელ მეორეთ დაიტაცეს მეგრელების საქონელი, მოსალოდნელია დიდი სისხლის ღვრა.

მოჰკლეს სვანეთის კომისარი გრ. ონიანი.

— ლეჩხუმის კომისარი იტყობინება, რომ მაზრაში ორი კვირის განმავლობაში არაფერი მომხდარაო.

**✦ საკლავი საქონელი.** ქუთ. ქალაქის სასურსათო კომიტეტს მოუვიდა 32 ვაგონი საკლავი საქონელი.

**✦ ფქვილი** ივლისის განმავლობაში ქუთ. საგუბერნ. სასურსათო კომიტეტს მოსვლია 146 ვაგონი ფქვილი აქედან 84 ვაგონი გადაეცა ქუთ. ქალაქის სასურსათო კომიტეტს. ტყიბულს 2, ფოთს —5, ახალსენაკს - 1 და რკინისგზის კოოპერატივს—1.

**✦ 25 ათასი მანეთის გადადება.** სურსათის სამინისტროს რწმუნებული ლეხაჩოვი იტყობინება, რომ ქუთაისის გუბერნიის აღწერის საქმისთვის გადადებულია 25.000 მან.

**✦ სამიკიტნოების დაკეტვა.** გუბერნ. კომისარის განკარგულებით დაიკეტა ერ. ღედორაძის და ტურაბელიძის სამიკიტნოები.

**✦ უწესოება.** ივლისის 31 ორი მთვრალი მილიციელი ორპირის ქუჩაზე არღნით ქეიფობდენ. მილიციელი გამოელაპარაკა შ. შავგულიძეს, რომელიც თავის ეზოში იდგა და რევოლვერის სროლა დააპირა. შავგულიძემ ეს ამბავი საჩქაროთ კომისარს აცნობა. მილიციელი შეიპყრეს.

მიმდინარე წლის 1-აგვისტოდან, ქ. ქუთაისში- ვორონცოვის ქუჩაზე ძმ. ჩილაინგაროვის საკანდიტროს გვერდით ჰეჟინაძის სახლში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა-„ლამპარი“-განწყოფილება ა. სუვორინის კონტრ სააგენტოსი რომელიც იღებს ყველა, როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთის სტახტო გამოცემებს, დროის შესაფერ ბროშიურებს და წიგნებს.

გამგე მინა ტყაბლაძე.

**✦ სამამულო კომიტეტები** ქუთ. გუბერნ. აღმ. კომიტეტმა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტისგან მიიღო მამულთმფლობელობის დროებითი ინსტრუქცია. და მის ცხოვრებაში გასატარებლათ აირჩია 4-კაცისგან შემდგარი კომისია. კომისიის წევრნი არიან: გრიგოლ ბარათაშვილი, გრ. ურატაძე ი. გობეჩია, და სხვანი.

**✦ ჯამაგირების მომატება.** ქუთაის. გუბერნ. სამმართველოში მოსამსახურეთ ჯამაგირი მოუმატეს.

**✦ დეზერტირების წინააღმდეგ.** ქუთ. გუბერნ. სხვა დასხვა კუთხიდან იტყობინებიან, რომ დეზერტირები აწუხებენ მცხოვრებთ. საგუბერნ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა მათ წინააღმდეგ ჯარი გაგზავნოს.

**✦ ჰიათურის მფლობელობის შესახებ.** ქუთ. გუბერნ. აღმ. კომიტეტმა აირჩია 6 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელიც უნდა გაეცნოს გელზენკირხენის მფლობელობის ლიკვიდაციის საქმეს. კომისიაში შედიან. გრიგოლ ბარათაშვილი, ზაქარია მაჭავარიანი, გ. ხუნდაძე, თევზაძე, ბასილაია და სხ.ა.

**✦ ვაჟა ფშაველას საღამო** დღეს საღამოს საათის 8-ზე ძველი დრ. თეატრში გაიმართება ვაჟა ფშაველას გარდაცვალებიდან ორი წლის თავის აღსანიშნავი საღამო. საღამო იმართება ვაჟა-ფშაველას სახელობაზე არსებული სამკითხველოს სასარგებლოდ და შესდგება სამ ნაწილისგან:

1. [illegible] ი. ჭყონდიძის, ი. [illegible] მონაწილეობით;
2. ,,ქართველი დედა'',
3. დივერტისმენტი.

**✦ გოლდმანის წინადადება.** ჯარისკაცთა საბჭოს სახელით საარჩევნო კომისიაში გოლდმანმა წინადადება შეიტანა, რათა ივლისის ოცამდე ქუთაისში მყოფთ ჯარისკაცთ მიეცეთ საარჩევნო ხმა. წინადადებამ აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა. საარჩევნო კომისიამ გოლდმანის წინადადება ამიერ კავკასიის საგანგებო კომისარიატს აცნობა და სთხოვა საჩქაროთ შესაფერი დასტური.

---

**არ დაუკარგოთ ხმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის № 4-ს!**

---

# ვექილ ბექან ხუნდაძეს იუზურგეთში.

ქუთაისის ოლქის სასამართლოში თქვენ აწარმოებთ აქაურ სამეურნეო ამხ. ,,კოლხიდა''-ს საქმეს, რომლის ლიკვიდაცია კაი ხანია მოხდა ათას გვარ მტრების წყალობით. მასაც ჩვეული ქუთათური საქმიანობის ბედი ეწერა.

ჩემდა საბედისწეროთ ხსენებულ ამხანაგობის გამგეობაში სხვათა შორის მეც ვმსახურებდი და როგორც ასეთი და აგრეთვე მოლარე, ხელს ვაწერდი მის საწარმოვო საქმის ქაღალდებსა და ვექსილებზე.

ერთი სავალდებულო ფარატინა ქაღალდი ჩემი ხელმოწერილი ჩავარდნია ხელში ,,კოლხიდა''-სთან საქმის (პარვის გამო) მქონე საზღვარ-გარეთელ ფირმის დარნის ვექილმოჭახრაკე ვინმე **რომან ჯავახოვს**, რომელიც დღეს, ამ საერთა შორისო განსაცდელის ჟამს, მერვე წლის თავზე გამომდგომია და მიჩივის ამ ფარატინა ქაღალდის ძალით 6- 7 ათას მან. პირადათ მე.

ნამდვილათ კი მე არც ჩემი ხელობით (მწიგნობრობის საქმით) და არც სხვა რაიმე სიზოგადო თუ კერძო საქმიანობით ამ ფირმასთან არავითარი დამოკიდულება არ მქონია ჩემს დღეში. იგი ესაღებდა „კოლხიდა“-ს საზღვარ-გარეთ და მასთან იყო სავაჭრო დამოკიდულებაში და თუ რასმე ევალებოდა ისევ ამ ამხანაგობას და არა მე.

ყოველივე ამას დაამტკიცებენ ამ საქმეში მოწმეებათ დასახელებულნი მაშინდელი ჩემი კოლეგები: რაჟდენ დათეშიძე-ი. ქუთათელაძე, ბ. მოსეშვილი, ფ. ფილიპოვი და სხ. და აგრეთვე მაშინდელი საქმიანი მიწერ-მოწერა დარნისთან და ის საბუთები, რომლებიც მოიპოვებიან თქვენთვის გადმობარებულ „კოლხიდა“ს საქმეებში.

ეს გარემოება სხვათა შორის თქვენც კაი ხანია პირადათ 2-3-ჯერ გითხარით და გთხოვეთ, ეს „საქმე“ გეთხოვებინათ. შემდეგ ერთჯერ დაზღვეულ ბარათითაც გაგიმეორეთ ეს თხოვნა, მაგრამ ვერც წერილობით და ვერც საქმით პასუხს ვერ ველირსე. სულ ახლახან, ერთი კვირის წინეთ ეგევე დეპეშით მოგთხოვეთ, მაგრამ დღემდი თქვენგან არა ისმის, საქმე კი სასამართლოში გასარჩევათ 10 აგვისტოს არის დანიშნული.

ამიტომ დღეს, ამ მიწერილში ბოლო რომ მოუღოთ ასეთ ჩვენებურ დაუდევრობას იძულებული ვარ პრესის საშვალებით მოგთხოვოთ, რომ ეს „საქმე“ დაუყოვნებლივ გადმომიგზავნოთ ქუთაისში თქვენთვის ნაცნობ მისამართით, ამ საქმის საბუთები გამოვიყენოთ ჩემი თანამემამულე ჯავახოვის მადა აღძრულობის გასაბათილებლათ.

**მოქალაქე ისიდორე კვიცარიძე.**

---

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**

**დეპეში „ჩვენ ქვეყანას“.**

(დაგვიანებული) ივლისის 24-ს სოფ. ბანძაში გაიხსნა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ბიურო.

კომიტეტის თავმჯდომარე გლეხი ალექსანდრე **სანთანია.**

— —

**ს. ბანძა.** ივლისის 24-ს აქ გაიხსნა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ბიურო. ეს მოვლენა ფრიად სასიხარულოა. საქართველოს რეალ საჭიროებით წარმოშობილი პარტია თანდათან გზას იკვლევს და ფეხს იდგამს სრულიად ქართველ ხალხში. ხალხი ეცნობა ამ პარტიას და ითვალისწინებს, თუ რამდენათ ახლოს სდგას იგი მის მოთხოვნილებებთან და სულის კვეთებასთან.

კრება გახსნა გლეხმა ალ. სართანიამ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ალ. სანთანია. ეროვნ.-დემ. პარტიის პროგრამის შესახებ ილაპარაკა სენაკიდან საგანგებოთ მოწვეულმა მ. ლ ამ. მან მოკლეთ განმარტა ავტონომიის მნიშვნელობა ქართველ ხალხისთვის და აღნიშნა, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკურ უფლებათა ისტორიულ სახით აღდგენა. ორატორმა სთქვა, რომ ქართველ ერს ამისთვის აქვს როგორც მორალური, ისე იურიდიული უფლება.

მიწის კითხვაზე ილაპარაკა შ. კ—ლმა. მან დაახასიათა სოციალისტური მოძღვრება და მისი ადგილობრივ პირობებთან შეუფერებლობა. მოლაპარაკე აგრეთვე შეეხო მიწის კერძო საკუთრების დებულებას რაც ხალხმა ერთსულოვნათ მიიღო. შემდეგ ამისა გაიმართა წევრების ჩაწერა და დაარსდა კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია ალექსანდრე სართანია.

**ბანძელი**

## ამხანაგ გრიშა თაბუკაშვილის ხსოვნას.

აი მიჭირავს გაზეთი ხელში, ვკითხულობ შემაძრწუნებელ ამბავს ჩვენი გრიშას უდროოთ დაკარგვისას. საშინელი ფიქრები მიტრიალებს თავში...

ვერ დამიჯერებია, რომ ის გრიშა, რომელიც რევოლუციის დაწყების პირველ დღეებში აღტაცებული მაცნობდა თავის სამუშაო გეგმას, ის გრიშა, რომელიც სიხარულით ჩაება საერთო მოქმედების ფერხულში და შექონდა თავისი წვლილი ყოველ—დარგში, სადა კი მისი ძალა მისწვდებოდა, დღეს სამუდაოთ დადუმდა...

დიახ, გრიშა, უკვე სამუდამოთ დადუმდა შენი ბაგეები, უკვე სამუდამოთ განისვენა მშფოთარე სულმა. შენი თვითმკვლელობის მიზეზი უბრალო დაღლილობა და ნერვების აშლა არაა, როგორც ამას აღნიშნავს „ამხანაგი მიშა“ „ერთობის“ ფურცლებზე. მიზეზი უფრო ღრმათ უნდა ვეძიოთ; შენ იყავი ერთი ქართველ სტუდენტთაგანი, და დღეს ხომ ქართველმა სტუდენტობამ დაკარგა თავისი გზა, თავი სული*). ის ბურანშია გახვეული ის ეძებს გამოსავალ გზას, ეძებს დასაყრდნობ ნიადაგს, ეძებს ნამდვილ მშობელს, ნამდვილ დედას... მაგრამ ამაოთ.... ის ასცდა მშობლიურ გზას, ის უგზო-უკვლოთ დაეხეტება ის დღეს დაფლეთილია სულით. ის აღარ არის მთლიანი პიროვნება, და შენშიც გრიშა, როგორც ქართველი სტუდენტში, ეს თვისებები სავალალოთ იყო. ჩვენი მოქმედების გორიზონტი მოცულია ყოველ მხრით ბნელეთით.

ქართველი სტუდენტობას აებნა დავთარი, დაკარგა გზა-კვალი. დიახ, აქ სუფევს რაღაც ჯოჯოხეთური ხაოსი, აბა რას ნიშნავს, ეს თუ არ არის, რომ ბევრი ჩვენი ამხანაგთაგანი „ოხრანკაში“ ჟანდარმერიას გვერდს უმშვენებდა...

დიახ, გრიშა, ყველაფერი ეს შენ იგრძენ, ეძიე გამოსავალი გზა, მაგრამ ამაოთ. ამხანაგებსაც მიაშურებდი—მაგრამ ისინიც ხომ შენთან ერთ ტაფაში იწვოდენ...

მაგრამ ეჰ, ამხანაგო გრიშა! მეტის წერა აღარ ძალ მიძს, თორემ კიდევ ბევრია სათქმელი, ბევრი...

სამშობლოს კალთას შეფარებული ქართველი სტუდენტობა ისეთსავე სულიერ ტრაგიზმს განიცდის, როგორსაც შენ განიცდიდი, მაქ ჩრდილოეთში, აქ ის უცხოა, სამშობლო მხარემ მას ხელი ჰკრა და ისიც ხშირათ კოცნის იმ პატარა რკინას, რომელიც სულ ადვილათ ხსნის ამ ქვეყნიურ რთულ საკითხებს და რომელსაც შენ ამლენ ტანჯვისაგან მოგასვენა. შენი ამხანაგობა არასოდეს არ დაგვიწყებს, გრიშა.

**ერთი ამხანაგთაგანი.**

*) ცოტა ეხლა ამ რევოლუციის დროს ეტყობა გამოფხიზლება.

## ზემო სვანეთი.

ზემო სვანეთი ერთი განაპირა კუთხეა ქუთ გუბ. მას უკავია ჩრდ.ნ აწილი გუბ. რომელიც მისდევს მდ. ენგურის ხეობას აღმოსავლეთიდკან დასავლეთისკენ სამეგრელოს საზღვრამდე. ზ. სვანეთი, როგორც თვით სახელი მოწმობს, მართლა სავანის წარმომადგენელია, ლეჩხუმიდგან რამოდენიმე ქედგორის შემდეგ, ჩრდილოეთისკენ იწყება აღმოსავლეთიდგან ერთი მაღალი გრაგნილი, მთაგრეხილი, რომელსაც „ლატფარი“ ეწოდება. ამ მთაზედ, სამხრეთიდგან, აღმართ-აღმართ საცალფეხო გზა შეზდევს, სერზედ გაიგანებს, და გადაღმა კი, თავქვე, მიმოხვევით ეშვება. შეუძლებელია მგზავრის ყურადღება არ მიიპყროს იმ საოცრებამ, რასაც ჩრდილოეთი გვისურათებს ლატფარის წვერიდან.

თქვენს თვალწინ იშლება დაუსრულებელი მხარე უამრავი მთებისა რომელნიც რაღაც მისტიური იდუმალებით მოცულნი, როგორც ამას ჰ. მამულიშვილი აგვიწერს ერთს თავის ლექსში „მთა მთასა მისდევს მთა მთას აწვება, კიდით კიდემდე ძლივს ეტევიანო“, გრანდიოზულ სურათს წარმოგიდგენენ: ირგვლივ მდუმარება, ულრანი სავანე თალხით მოსილი, ბუმბერაზ მთანი დაყუდებულნი, ვით ანაფრენი ცის კაბადონში, ზენაარს ეუბნებიანო. უნებლიეთ გავიწყდებათ ყოველივე ამ მსოფლიო და სავანის განდეგილებთან ერთად იდუმალ თავდავიწყებას ეძლევით. დიახ სვანეთის მთების გრანდიოზული ბუნება მომხიბვლელი თვალწარმტაცია უნებლიედ ზეფრენულ აღტაცებაში იმერის პატმოსი გავიწყდებათ და თქვენს წარმოდგენაში, რაღაც მარადიული მთობა იხატება. დიახ თქვენ აღტაცებული ხართ და დევგმირებთან ერთად განისვენებთ.

მაგრამ დახეთ, მარად მოძრავი არსებობისათვის მებრძოლი ლტოლვა, აქაც, ამ ფრენია თავდავიწყებაშიდაც, მხბილავია; თქვენ გაგონდებათ, რომ მგზავრი ხართ და ეკაზმებით. აი ჩაითავქვევეთ კიდეც და მარჯვნით აღმოსავლეთიდან სვანეთის გუშაგი ს. უშგული გეშუქებათ. იქვე ს. „ხალდე“, რომლის შესახებ თქვენ მოგითხრობენ ისტორიულ ჟამთა სიავის წარსულიდგან გმირობას ამ სოფლისა, რაც სარწმუნოთ გეჩვენებათ ხალდეს სტრატეგიული ადგილ მდებარეობის მიხედვით. მშვენიერია ლატვარი და მისი იქეთ-აქეთ უზრუნველათ უკუნის ბურანში მოგანძული მთაგორები, განსაკუთრებით გაზაფხულის დამლევს, როდესაც არე-მარე ნაირ სხვაფერ ჩამბის ქულა ყვავილებით თეთრად გადაპენტილა და მწვანე მდელო, ფიანდაზათ ნაფენი ხავერდივით ბიბინებს. ასოციაცია გიცხოველდებათ, გაგონდებათ თეთრად მოსილი პატმოსის აბგათარი, ოცნება გიტაცებთ. მაგრამ ფრთხილად, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლატფარის თავქვე მიქანაობთ, სიფრთხილე გმართებთ ზეფრენამ არგაგიტაცოთ და ულრან ხეობას არმალნათ არ მიეძლვნათ.

არსვანი.

(გაგრძელება იქნება.)

## რ უ ს ე თ ი.

**ოტტო ბაუერი პეტროგრადში.**

ამ ჟამად პეტროგრადში იმყოფება ცნობილი ავსტრიელი სოციალისტი მწერალი და გამოჩენილი მცოდნე ეროვნული კითხვისა სოციალ-დემოკრატი ოტტო ბაუერი, რომელიც ომის დაწყებისას ავსტრიის ჯარში პრაპორჩიკად მსახურებდა და ავსტრიელებთან ერთ-ერთ პირველ შეტაკებებში ტყვედ იქნა წამოყვანილი რუსის მხედრობის მიერ. 20 ივლისს ოტტო ბაუერი დაესწრო რევოლუციონურ დემოკრატიის ცენტრალ ორგანოთა შეერთებულ სხდომას. სხდომაზე მისული მინისტრები კაკი წერეთელი და სკობელევი მეტად მხურვალე სიტყვითა და სალამით მიეგებნენ ოტტო ბაუერს, რომელიც მათ მარტოვმა წარუდგინა გასაცნობად.

**ალექსინსკი მუშათა საბჭოს წევრად არ მიიღეს.**

მეორე სათათბიროს ყოფილმა წევრმა გ. ალექსინსკიმ მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს სამანდატო კომისიას შეატყობინა, რომ იგი ჩრდილო-დასავლეთის რკინის გზის მუშების მიერ მუშ და ჯ.-კ-თა დეპუტატების საბჭოში არის არჩეული და სთხოვს პეტროგრადის საბჭოს მისცეს მას ბილეთი საბჭოს სხდომებზე დასასწრებლად. აღმასრულებელმა კომიტეტმა ალექსინსკის თხოვნა არ შეიწყნარა იმ მოსაზრებით, რომ სანამ იგი მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს არ აიცილებს თავიდან, არც შეუძლია საბჭოს წევრად ჩაირიცხოს.

**კერენსკის მოკვლის ცდა.**

მილიციონერებმა პეტროგრადში სამი უცნობი პირი შეიპყრეს, რომელთაც კერენსკის მოკვლის ორგანიზაციის მოწყობა ბრალდებათ. შეპყრობილთ დაწვრილებით გამოჰკითხეს და გამოირკვა, რომ მათ შესახებ მიღებული ცნობები უტყუარია. დაკითხვას ახდენდა ლ. ხოსროევი, რომელმაც გამოარკვია, რომ ეს პირები ბოლშევიკებს უწოდებდნენ თავს, ნამდვილად-კი პროვოკატორები და ყოფილი ლოროდოვოები ყოფილან.

**მიტინგების აკრძალვა ბრძოლის წარმოების რაიონში.**

გენერალ კორნილოვის ბრძანებით ბრძოლის წარმოების რაიონში აკრძალულია ყოველგვარი მიტინგი; ყოველი ცდა მიტინგის შეკრებისა უკანონო მოქმედებად ჩაითვლება და შეკრებილთ იარაღით გარეკავენ.

**რეველის „სიკვდილის ბატალიონი“.**

რეველის „სიკვდილის ბატალიონი“ ბრძოლის ასპარეზზე მომხდარ უწესოებათა გამო თითქმის სრულებით განადგურდა. მას ნაბრძანები ჰქონდა მტრის სანგრების ორი წყების გარღვევა; ბატალიონმა ითხი წყება გაარღვია. დაპყრობილ ადგილების შესანარჩუნებლად ბატალიონმა დახმარება ითხოვა, მაგრამ თავისიანებმავე სროლა აუტეხეს. ორმაგი ცეცხლის ქვეშ ბატალიონმა თავის წინანდელ პოზიციაზე იწყო უკანდახევა. 300 მეზღვაურიდან რომელიც ბატალიონში შედიოდენ, დაუჭრელი მხოლოდ 15 კაცი გადარჩა. სამმა ოფიცერმა უკან დახევა არ ისურვა და თავი მოიკლა. ბატალიონის უფროსი გარდაიცვალა მიღებულ 13 ჭრილობისაგან.

## უ ც ხ ო ე თ ი

**რუსის დელეგატების მოწოდება ინგლისის პროლეტარიატისადმი.**

ლონდონს, პარიზსა და რომს გამგზავრებულმა მუშ. და ჯ.-კაცთა დეპუტ. საბჭოს დელეგატებმა თავიანთ დავალების შესახებ განცხადება გამოაქვეყნეს სოციალისტურ გაზეთ „ჰერალდში“. ამ განცხადების მიხედვით რუსეთის რევოლუციას ორი მიზანი აქვს დასახული: ცარიზმის აღმოფხვრა და ომის გათავება. მსოფლიო დემოკრატია რევოლუციამ იხსნა ცარიზმისაგან. შემდეგ მოხსენებულია, რომ სეპატიულ ზავს არასოდეს არ ეტრფოდა რუსეთი. ზავი, რომელსაც რუსეთი ეტრფის, უნდა იქნეს შეკრული ყველა ხალხისაგან, რომელსაც იმპერიალისტურ ჰიპნოზისაგან თავი დაუღწევია და თავისი სვე-ბედი თვისავე ხელთ უპყრია. დასასრულ დელეგატები მტკიცე იმედს გამოსთქვამენ, რომ ქებული ინგლისის პროლეტარიატი მხურვალე თანაგრძნობით შეხვდება დემოკრატიული იდეას უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისას და მხარს დაუჭერს იმ ბრძოლას, რომელსაც მიზნადა აქვს გაატარის ცხოვრებაში დასახული იდეები, ყოველივე დაბრკოლებისა და მიუხედავად როგორ დაბრკოლებებსაც უსათუოდ აგვიმართავს წინ ინგლისის იმპერიალისტური წრეებიო.

**პურის ხმარების რაოდენობა.**

პურის ოფიციალი ორგანოში გამოქვეყნებული დეკრეტი პურის ხარჯვის მოწყობის შესახებ. ოჯახის ყოველ მიზრდილ წევრს მიეცემა დღიურად 500 გრაბი პური, ბავშს 300 გრაბი. თუ დასაბუთებული შუამდგომლობა იქნა წაყენებული, პურის წონა შეიძლება აწეულ იქმნეს 450 გრამამდის.

**პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს პროტესტი.**

პოლონეთის სახელმწიფო საბჭო, ავსტრო გერმანულ მთავრობისადმი მიმართულ მემორანდუმში გამოსთქვამს შიშს, რომ პილსუდსკის დატუსაღება მცხოვრებლებში ახალ არევ-დარევასა და გაბოროტებას გამოიწვევს. მემორანდუმი ამტკიცებს. რომ პოლსუდსკის უსაბუთოდ აბრალებენ ვითომ მას თავისი ლეგიონებით გერმანულ არმიისათვის ზურგიდან მახვილის ჩაცემა სურდეს, ვინაიდგან ლეგიონების შექმნის მიზანი ცარის ჯარებთან ბრძოლა იყო. სახელმწიფო საბჭო დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სასწრაფოდ იქნეს გახორციელებული გეგმა თავისუფალი პოლონეთის შექმნისა.

## მცირე პასუხი.

**ს. ფაშალიშვილს.**

„სახალხო საქმის“ მე-8№-ში მოთავსებულია თქვენი წერილი, რომელშიაც თავს იმართლებთ ბელაგორლებთან 23. ივლის ბელაგორში გამართულ სალამოზე მონაწილეობის მიუღებლობის გამო. მიკვირს, რად დაგჭირდათ თავის გასამართლებლათ იმის თქმა, ვითომ მე მეთქვას თქვენთვის, „სალამო პარტიული არ არისო“. სურამში მკითხეთ: „რის სასარგებლოთ იმართება სალამო“, და მეც გიპასუხეთ: „ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ მეთქი“, მეტი არც თქვენ გკითხავსთ და არც მე არა მითქვამს რა; სალამოს რომ ადგილობრივი ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტი მართავდა, ეს ხომ გაზეთებშიაც იყო ადრევე გამოცხადებული. არა, მ. ს. ფაშალიშვილო, თავის მართლება უსაფუძლოა: თქვენ დაგავიწყდათ, რომ მგოსანი უბრალო მომაკვდავი პარტიის წევრი არ არის, ის არ ეკუთვნის რომელიმე ვიწრო ჯგუფს, ის ერს ეკუთვნის და ვალდებულია „პარტიული შირმის“ იქითაც გაუწიოს ანგარიში საზოგადოების სურვილს, მიუხედავათ მისი პოლიტიკური მიმართულებისა.

ნუ თუ მართლა ასე დავცინდით?

ვწუხვარ, პირადათ მოგახსენეთ ჩემი მწუხარება და გულითადი საყვედური და ეხლაც გიმეორებთ...

**გრ. მაჭავარიანი.**

ვთხოვ „საქართველოს“ რედაქციას საჩქაროთ გადაბეჭდოს ეს წერილი.

**გრ. მაჭ.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლ ბა გამოუცხადო იმ პირებს, რომელთაც თვისი წვლილი არ დაიშურეს და შემოსწირეს სოფ. ლარიხევის 2-რ მტატიან წ. გიორგის ეკლესიის ახლად ასაგებ კანკელის სასარგებლოთ შემდეგი.

1) მიხეილ, იოსებ და ვასილ კამკამიძეებმა 60მ.; 3) გალაგტიონ ანდრიასძე კამკამიძემ 20მ,; 4) აკვილინა კამკამიძისამ 10მ.; 5) გიგო და ნოშრევან ზუმბულიძეებმა 10მ.; 6) თალხან დეკანოსიძემ 10მ.; 7) ზინა კიკნაძისამ 5მ.; 8) ნინა კიკნაძისამ 2მ.; 9) სიდონია კვირკაშვილისამ 3 მან.; 10) დომინიკა კვირკაშვილისამ 3მ.; 11) მაკონა თაბუკაშვილისამ 5 მ.; 12) თეოდოსია კამკამიძისამ 3 მან.; 13) მინადორა კამკამიძისამ 2 მან.; 14) ფოტინა კვირკაშვილისამ 2 მ.; 15) ალვასი კვირკაშვილისამ 1 მან.; 16) ივლიტა კვირკაშვილისამ 1 მ. 17) ოლღა კვირკაშვილისამ 1 მ. 18) მაგდან დეკანოსიძისამ 5 მან. 19) ფოტინა დეკანოსიძისამ 1 მ.; 20) მართა დეკანოსიძისამ 5 მან: 21) ევა დეკანოსიძისამ 1 მ.; 22) თეოდოსია დეკანოსიძის[illegible] 3 მან.; 23) [illegible] კვირკაშვილისამ 3 მ.; 24) [illegible] კვირკაშვილისამ 2 მ.; 25) მიხეილ ბანცაძემ 1 მ. 2[illegible] [illegible] შიშაშვილმა 1 მან. [illegible] 50 კაპ ლარიხევის წ. გიორგის ეკლესიის

**მღ. პ. მიხელიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — სალამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — სალამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან | დილის | 10 ს. 20 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — სალამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |
| ბათუმისაკენ | დღით | 1 ს. 40 | წ. |


## ექიმები

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი 135 №.

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტეშინსკის სახლი.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

# ქუთაისის სასურსათო საგუბერნიო კომიტეტი

საყოველთაოთ აცხადებს, რომ ხუთშაბათს სამს (3) აგვისტოს, დილის 10 საათზე კომიტეტის ბინაზე რესპუბლიკის ქუჩა (ძველათ ოლდენბურგის) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იყიდება აცრილი საქონელი: ერთი ხარი, ორი ძროხა და ერთი უშობელი.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

## 1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა ღია არის** დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში